

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030495188025615

04-177/ა

26 / ივნისი / 2015 წ.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის N138 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის“, „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამით“ და „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული ზოგიერთი კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული/გასაფორმებელი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესრულების ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №138 დადგენილებით დამტკიცებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამით“ (დანართი 1.7.) და „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ (დანართი 1.6.) გათვალისწინებული ზოგიერთი კომპონენტის (დანართი 1.6.3. სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი; დანართი 1.6.4. კოხლეთარული იმპლანტებით უზრუნველყოფის კომპონენტი; დანართი 1.6.5. ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტი) ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯეროვან შესრულებაზე კონტროლის მიზნით, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოში (შემდგომში-სააგენტო) შეიქმნას ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქეთევან პაპიძე - სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;
ბ) დავით ჭანტურია - სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;
გ) ლელა ჯიშკარიანი - სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილმა ინსპექტირების ჯგუფმა განახორციელოს ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ სფეროში სააგენტოს სახელით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით მიმწოდებლების მხრიდან ნაკისრი ვალდებულების ინსპექტირება ხელშეკრულებების

მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, საჭიროებების შესაბამისად.

3. კონტროლს ბრძანების შესრულებასა და ინსპექტირების ჯგუფის საქმიანობაზე განვახორციელებ პირადად.

4. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ.გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის“ დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის სმენის აპარატებისა და კოხლეარული იმპლანტებით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული საქონლის მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ზედამხედველობის მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის თაობაზე“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 8 დეკემბერის N04-371/ო ბრძანება.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე